საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

ნომერი: 0422/098/21

თარიღი: 22/04/2021

ქ. თბილისი,

შპს "შატროვან დეველოპმენტს"

ტელ.: 599106683

თქვენი, მიმდინარე წლის 19 აპრილის #0419/923/21 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება შ.პ.ს. "ვიონი საქართველოს" საამშენებლო ტერიტორიიდან ს.ქ.#1236 - ს.ქ.#1750-სა და ს.ქ.#1039 - ს.ქ.#1236-ს მონაკვეთების გადასატანად შპს "შატროვან დეველოპმენტის" დამუშავებული პროექტის #33/21 შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ პროექტი განიხილა სს "თელასის" ტექნიკურმა სამსახურმა და შეგიძლიათ განახორციელოთ აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

1. სამუშაოების დაწყებამდე 5 სამუშაო დღით ადრე უნდა მოახდინოთ სს ,,თელასის" ტექნიკური სამსახურის (შესაბამისი საექსპლუატაციო რაიონის), ასევე შესაბამისი ბიზნეს-ცენტრის ინფორმირება სამუშაოს დაწყების და სავარაუდო დასრულების შესახებ;
2. სამუშაოები უნდა შეასრულოთ სს ,,თელასის" ტექნიკური სამსახურის ზედამხედველობის ქვეშ;
3. სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსრულებელს;
4. შემდგომი ექსპლუატაციისას, მესამე პირების მიერ მექანიკური დაზიანების და ს.ს. "თელასის" ქსელში ავარიული გამორთვების თავიდან ასაცილებლად მოახდინოს ახლად დამონტაჟებული ელექტრული ქსელის ხაზური ნაგებობის რეგისტრაცია. შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოადგინოს სს ,,თელასის" საკუთრების ურთიერთობათა რეგულირების სამსახურში.

პატივისცემით,

ტექნიკური დირექტორის მ.შ. ზვიად ვაშაკიძე

შემსრულებელი:

სააქციო საზოგადოება "თელასი"